საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1197 2019 წლის 22 მაისი ქ. თბილისი

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიამ“ (ს/კ: 215096367) (შემდგომში – კომპანია) „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 მაისის №1030 განკარგულების საფუძველზე კომპანიის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის (საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი

ღონისძიებების ფარგლებში, 25 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი თეთნულდზე; სადღესასწაულო სათხილამურო ტურნირის ორგანიზება ბავშვების, ახალგაზრდებისა და ვეტერანი მოთხილამურეების ჩართულობით; სხვადასხვა შოუს ელემენტები; „ინსტალაცია 26-ის“ მოწყობა) საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვებთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ის მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის კანცელარია №1

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**